მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
ადარ II
№3 (414)
(5776)
2016

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

24-25 მარტი - ფურიმი
კბილების ამოგდების დღესასწაული

„თქვა ხარებინამ, მეფის წინაშე მდგომმა, ერთმა საქ-ერიასთაგანმა აბა, ჰამანის სახლში დგას ორმოცდაათწყრ-თიანი ის ხეც ჰამანმა რომ მო-უმზადა მორდეხაის, რომელმაც კეთილი ილაპარაკა მეფეზე. თქვა მეფემ ჩამოკიდეთ იგი მასზე. ჩამოკიდეს ჰამანი ხეზე მორდეხაისთვის რომ ჰქონდა გამზად-ები-ული და დაცხრა რისხვა მეფისა."

„ესთერის გრაგნილი"

დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ბევრი ჰამანია, უმეტესწილად ესენი არა დიდვეზირები, არამედ პრეზიდენ-ტები, თ-უ პრემიერ-მინისტრები არიან და ისრაელის სახ-ელმწიფოს დელეგიტიმიზაციას ესწრაფვიან.

ამით ცდილობენ -უარყონ ისრაელის სახელმწიფოებრიობა, ძირი გამო-უთხარონ სახელმწიფოს არსებობას.

მაგრამ კლასიკა იმიტომაც არის დიადი, რომ მარადი-ულია. „ესთერის გრაგნილმა" შეჰქმნა მარადი-ული სახრჩობელა, მარადი-ული ჰამანებისთვის. ებრაელი ხალხის ისტორიას არა მხოლოდ ჰამანები მოსდევენ, არამედ მარადი-ული სახრჩობე-ლებიც ისრაელის, ებრაელი ხალხის მოძ-ულეთათვის.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

მეკ-ის პლენარული ასამბლეა

15-17 მარტს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პლენარული ასამბლეა. კონგრესის ამ ღონისძიების ბუენოს-აირესში ჩატარება განპირობებული გახლდათ იმ გარემოებით,რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ ქალაქში მოხდა: 1992 წელს ისრაელის საელჩოზე ტერორისტული თავდასხმისას დაიღუპა მრავალი ადამიანი, ხოლო 1994 წელს ბუენოს-აირესში ისრაელის კულტურის ცენტრ„ამიაზე“ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს ასევე ბევრი ებრაელის სიცოცხლე შეეწირა.

ასამბლეის პირველსავე დღეს მისმა მონაწილეებმა სრული ნდობა გამოუცხადეს კონგრესის პრეზიდენტს, ელჩ რონალდ ლაუდერს. ამგვარი ერთსულოვნების მიზეზი გახლდათ ის, რომ პრეზიდენტი ლაუდერი ერთობ აქტიურად იღწვის ამ პოსტზე — იგი ხვდება სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებს, მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებშიიცავს ებრაელთა ინტერესებს,.

არგენტინის პრეზიდენტთან მაურისიო მაკრისთან გამართულ გალა-დინერზესაუბარი გახლდათ ხსენებული ტერორისტული აქტების გამოძიების საკითხებზე. დღეს აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ამ ტერაქტების უკან ირანის ხელისუფლება იდგა, ხოლო არგენტინის ყოფილი მთავრობა ხელს უშლიდა ტერაქტების სრულყოფილ გამოძიებას. და როდესაც პროკურორმა ალბერტ ნისმანმა მიაგნო დამნაშავეთა კვალს და მოკვლეულის გამოცხადება დააანონსა, მეორე დილით საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს (თუმცა, პრეზიდენტმა მაკრიმ თავის სიტყვაში სიტყვა „მოკლულს“ თავი აარიდა და „გარდაცვლილი“ იპოვესო, თქვა)არ გამორიცხავენ,რომ ამ კრიმინალში გარეულია არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი.

პლენარული სხდომის მონაწილენი შეხვდნენ პარაგვაის პრეზიდენტ ჰორაციო კარტესს. ბ-მა პრეზიდენტმა ისაუბრა ებრაელობის ერთობ პოზიტიურ როლზე პარაგვაის ცხოვრებაში. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ სახელმწიფოს ისტორიაში არ არის ყოფის არცერთი სფერო, რომელშიც ებრაელობას მნიშვნელოვანი როლი არ ეთამაშოს. პრეზიდენტმა ჰორაციო კარტესმა გაიხსენა ებრაელი კაცი, რომელიც მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა — იგი ჩემი მეორე მამა არისო.

ისრაელის დიასპორისა და განათლების მინისტრმა ნაფტალი ბენეტმა ისაუბრა ისრაელისა და დიასპორის ურთიერთობის საკითხებზე, უპასუხა პლენუმის მონაწილეთა შეკითხვებს.

ერთობ ემოციური გახლდათ ისრაელის კულტურის ცენტრ „ამიაში სტუმრობა, სადაც მისმა პრეზიდენტმა, ტერაქტს გადარჩენილმა პირებმა დაწვრილებით ისაუბრეს განცდილსა და ნანახზე. იმავე დღეს, სწორედ 17 მარტს, სისხლისღვრიდან ოცდამეექვსე წლისთავზე, ისრაელის საელჩომ არგენტინაში დაღუპულთა მემორიალთან გამართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტიონგზე სიტყვები წარმოსთქვეს ისრაელისა და არგენტინის მთავრობის წევრებმა.წაიკითხეს კადიში, ისაუბრეს დაღუპულებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, მწერალი გურამ ბათიაშვილი.

საქართველოს ელჩი არგენტინაში ბ-ნი გელა სეხნიაშვილი: ვამზადებთ დიდ გამოფენას

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მიერ ბუენოს აირესში ჩატარებულ პლენარული სხდომის ერთი საღამო არგენტინის პრეზიდენტთან — მაურისიო მაკრისთან შეხვედრას მიეძღვნა. შეხვედრაზე მოწვეულნი გახლდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ამათ შორის იყო საქართველოს ელჩი არგენტინაში ბ-ნი გელა სეხნიაშვილი. ბატონმა ელჩმა ,,მენორას“ რედაქტორთან ისაუბრა ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე , ხაზი გაუსვა ებრაელობის პოზიტიურ როლს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში და აღნიშნა:

—ყოველივე ამის გამო გადავწყვიტეთ ბუენოს-აირესში მოვაწყოთ დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს ნათელ ქართულ-ებრაულ ურთიერთობას. საამისოდ კავშირი დავამყარე არგენტინის ებრაულ ორგანიზაციებთან, გვეხმარება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ჩვენი ვარაუდით, გამოფენა ზაფხულში გაიმართება. იმედი მაქვს, გამოფენა არგენტინის საზოგადოებრივ ინტერესს აღძრავს—აქ ხომ დიდძალი ებრაელობა ცხოვრობს.

მაროკოელი ებრაელი ქალი — საფრანგეთის კულტურის მინისტრი

თებერვალში საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა: საფრანგეთის კულტურის მინისტრის პოსტი 43 წლის მაროკოელმა ებრაელმა ქალმა — ოდრი აზულაიმ დაიკავა.

ოდრი აზულაი მაროკოში დაიბადა. იგი გახლავთ მაროკოში ცნობილი პოლიტიკოსის ანდრე აზულაის ქალიშვილი. ანდრე აზულაი რამდენიმე წელიწადია მაროკოს მეფის — მუჰამედ მეექვსეს მრჩევლის პოსტზეა, ხოლო ახლადგამინისტრებული ოდრის დედა— კატია ბრამი მწერალი გახლავთ. ოდრი აზულაი ადრე საფრანგეთის ეროვნული კინემატოგრაფიის კომიტეტში მუშაობდა, ხოლო 2014 წელს დაინიშნა პრეზიდენტ ფრანსუა ორლანდის მრჩევლად კულტურის საკითხებში.

„კეთილი მარკოველი სამარიტელი“

2016წლის17 მარტს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ჩატარდა ღონისძიება „კეთილი მარკოველი სამარიტელი“. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პოლონეთში ახლად გახსნილი ულმების საოჯახო მუზეუმის ვიდეო პრეზენტაცია და გამოფენა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საერთაშორისო ფონდი „ლეა“.

სიტყვები წარმოსთქვეს პოლონეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ ანდჟეი ჩიეშკოვსკიმ, საერთაშორისო ფონდი „ლეა“-ს ხელმძღვანელმა მარინე სოლომონიშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე რექტორმა დარეჯან თვალაძმ, ორგანიზაცია „პოლონია“-ს ხელმძღვანელიმა მაკა ფილინამ , თსუ-ს ისრაელის კაბინეტის ხელმძღვანელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, გურამ ლორთქიფანიძემ.

აღინიშნა, რომ, პარალელურად , ამავე დღეს, პოლონეთში გაიხსნა ულმების ოჯახის სახლ-მუზეუმი, რომელსაც დაესწრო პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანჟეი დუდა და მრავალი სტუმარი საზღვარგარეთიდან. მარკოვას მუზეუმი არის პირველი მუზეუმი პოლონეთში, მიძღვნილი ყველა იმ პოლონელის ხსოვნისადმი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ებრაელების გადარჩენაში ჰოლოკოსტის დროს.

მეორე მსოფლიო ომამდე, პოლონეთის უმსხვილეს სოფელ მარკოვაში ცხოვრობდა 4500 ადამიანი, მათ შორის 30 ებრაული ოჯახი. ულმების ოჯახმა თავშესაფარი მისცა ორ ებრაელ ოჯახს . 1944 წლის 24 მარტს ფაშისტებმა იოზეფ ულმას რვასულიანი ოჯახი (ცოლ-ქმარი და მათი ექვსი შვილი) ებრაელების მფარველობისთვის დახვრიტეს, მათთან ერთად დახვრიტეს რვა ებრაელი-შალების და გოლდმანების ოჯახი. ულმების ოჯახის გმირობა ყველა იმ პოლონელის თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ებრაელების გადარჩენაში მეორე მსოფლიო ომის დროს. ულმების ოჯახის ტრაგიკული ბედით შთაგონებული მუზეუმი მოგვითხრობს პოლონელი გმირების ისტორიას ფაშისტური გერმანიის ოკუპაციის დროს (1939-45 წ. წ.). ისრაელის იად ვაშემის მუზეუმმა და ინსტიტუტმა (ჰოლოკოსტის წამებულთა და გმირთა ხსოვნის ორგანო)1995 წელს ულმების ოჯახს მიანიჭა „მსოფლიოს ხალხთა წმინდანების“ სიგელი და მედალი. იმ მოვლენების აღსანიშნავად 2004 წელს მარკოვაში დაიდგა ულმების ოჯახის მემორიალი.

1951 წლიდან ისრაელის პარლამენტის-კნესეთის დადგენილებით მათ, ვინც ეხმარებოდა ებრაელებს ჰოლოკოსტის დროს, ანიჭებენ „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ წოდებას და მედალს. ამჟამად აღრიცხულია 26 119 ამ წოდების გმირი მსოფლიოს ორმოცდათერთმეტი ქვეყნიდან. მათ შორის ყველაზე მეტი პოლონეთიდანაა-6620 გმირი. მთელ მსოფლიოშია ცნობილი სახელები, როგორიცაა ირენა სენდლერი , იან კარსკი, და მრავალი ცნობილი თუ უცნობი გმირი, მათ შორისაა ულმას ოჯახი.

იმედი ვიქონიოთ, რომ მათი და მრავალი სხვათა თავგანწირვა და ჰუმანურობა იქნება სამაგალითო ჩვენთვის, მომავალი თაობისათვის, რათა ნაცისტების მიერ ჩადენილი მსგავსი ძალადობა არასდროს განმეორდეს არცერთი ხალხის მიმართ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების, ებრაული და სხვადასხვა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, და ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

მარინე სოლომონიშვილი

წარსულის დაფასება მომავალს აშენებს

სოსო აჯიაშვილი

ჩვენი საჯამაათო ვხოვრების აქტივისტს, საქართველოს ებრაელობაში ცნობილ პიროვნებას იოსებ (სოსო) აჯიაშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. ამ პიროვნების არსი, მისი ცხოვრებისეული კრედო კარგად ჩანს სენტენციაში, რომელსაც იგი მოცემული ნარკვევის თითქმის დასასრულს გვთავაზობს: „ჩვენ დღეს უკვე წარმავალი თაობა ვართ. შეიძლება ბევრი ვერ გავაკეთეთ, მაგრამ რაც შევძელით, ვაკეთეთ ჩვენი ერის სიყვარულით და ერთგულებით. მოვუწოდებდი და ვისურვებდი, ჩვენმა მომავალმა თაობებმა ასეთივე სიყვარულით აკეთონ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ ჩაფიქრებული ყველა საქმე.“ და შემდეგ: „რატომ, რისთვის დაიწერა ეს მოგონება? იმისთვის, რომ მუდამ გვახსოვდეს, თუ როგორ ეკიდებოდნენ ქართველები ებრაელთა საჭიროებებს, შეძლებისდაგვარად როგორ ცდილობდნენ გვერდში ამოდგომას.“ ეს სიტყვები საკმაოდ კარგად ხატავს სოსო აჯიაშვილის პორტრეტს. ამიტომ ჩვენ — „მენორას“ რედაქციას (გვჯერა ჩვენს სურვილს ბევრი მკითხველი შემოუერთდება), არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ამ ღვაწლმოსილ პიროვნებას გულითადად მივულოცოთ საიუბილეო თარიღი, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, მხნეობა.

70—იან წლებში, როცა ებრაელობამ ისტორიულ სამშობლოს მიაშურა, სხვებთან ერთად ბანძელებიც წავიდნენ აღთქმულ ქვეყანაში – ისრაელში. არც თუ ისე ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ წინააღმდეგობას აწყდებიან ადამიანები უცხო ქვეყანაში; ისინი ხომ საუკუნეების მანძილზე იყვნენ დამკვიდრებული საქართველოში, აქ დაიბადნენ, აიდგეს ენა, ისწავლეს, მიიღეს განათლება და რაც მთავარია, ისწავლეს ადამიანებთან ურთიერთობა. მოწყდნენ ყველას და ყველაფერს. შორს დარჩა მოედანი, სადაც ფეხბურთს თამაშობდნენ, შორს დარჩნენ ნაცნობ–მეგობრები – შორს დარჩა სალოცავი, სადაც წლების განმავლობაში ლოცულობდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ „ლეშანა აბა ბირუშალაიმ“ ან „თუ დაგივიწყო შენ, იერუშალაიმ“. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ შორს დარჩა იმ ძვირფასი ადამიანების საფლავები, რომლებმაც არა მარტო აღზარდეს ისინი, ასწავლეს ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ, ჩაუნერგეს არა მხოლოდ იმ ქვეყნის, ხალხის სიყვარული, პატივისცემა, სადაც ენა აიდგეს, ეროვნული ტრადიციების არდავიწყება. მართალია, მათ იმდროინდელმა უკუღმართობამ ენა წაართვა, მაგრამ გული და რწმენა ხელუხლებელი დარჩა – და ამან ახალი ქვეყანა მახლობელი გახადა, ხელი შეუწყო თვითდამკვიდრების პროცესს.

გადიოდა წლები და ისრაელში ჩასულ სხვადასხვა კუთხის ებრაელებთან ერთად ბანძელებიც აღწევდნენ გარკვეულ წარმატებებს, ისწავლეს ენა, თავგამოდებით შრომობდნენ, გაიჩინეს საცხოვრებელი კუთხე და მთელი არსებით ჩაებნენ ახალი ცხოვრების ფერხულში. ცხოვრების ამ ორომტრიალში მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ თავიანთი ფესვები – ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ, ან როცა წამოვიდნენ, იქ ვინ და რა დარჩათ— დარჩათ ყველაზე ძვირფასი – წინაპართა მოუვლელი და მიუხედავი საფლავები.

და როცა საამისო ჟამი დადგა, გამოჩნდნენ ადამიანები და ითავეს საქმე, გადაუდებელ ყურადღებას რომ ითხოვდა – ბანძის ებრაელთა სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, კერძოდ, მთლიანი შემოღობვა – ისრაელში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ აბრამ მოშეს–ძე ჯანაშვილი და ეფრემ სიმონის–ძე აჯიაშვილი. ბანძელები ამ წამოწყებას მხარში ამოუდგნენ. აბრამ მაისეევიჩი და ეფრემ სემონოვიჩი – ასე იცნობდნენ მათ ბანძელები და ნაცნობ–მეგობრები— ყოველდღიურად ინტერესდებოდნენ იმით, თუ როგორ მიდიოდა, სასაფლაოს შემოღობვა

ამიტომ მინდა აღვნიშნო ის ენთუზიაზმი და ენთუზიასტები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საშური საქმისათვის სახსრების შეგროვებაში, მაგრამ თავს ვიკავებ და ვერ ვასახელებ ერთი მარტივი მიზეზის გამო: ვაითუ, ვინმე გამომრჩეს და ამით ვინმეს გული ვატკინო. სიტყვა ენთუზიაზმი ვახსენე და მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც ხმა დაირხა ბანძელები თავიანთი სასაფლაოს შემოსაღობად ფინანსების მობილიზაციას იწყებენო, გამოჩნდნენ თბილისელი, კულაშელი, ვანელი, თუ საჩხერელი კეთილმოსურნე ადამიანები, რომელთაც სურვილი გამოთქვეს ამ კეთილშობილურ საქმეში მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ბანძელებმა თავიდანვე დათქვეს: მათი წინაპრების საფლავები, მხოლოდ ბანძელების საზრუნავი იყო და ამდენად... გასახარია და მისასალმებელი, რომ მიუხედავად საუკუნეების მანძილზე ებრაელთა სხვადასხვა კუთხეებში განთესვისა, ურთიერთდახმარების და გვერდში დგომის სურვილი არ დაგვიკარგავს. არადა, ქველმოქმედება და მოყვრისთვის მხარში დგომა ჩვენთვის ხომ ერთ-ერთი მთავარი მცნებაა. შეგროვდა თანხა (სულ 1800 აშშ დოლარი). უნდა შემოკავებულიყო მთელი სასაფლაოს ტერიტორია. ეს 300 მეტრი გახლდათ. თანხის მობილიზაცია, ცხადია, მნიშვნელოვანი ეტაპია, მაგრამ ასევე, იქნებ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, თუ ვინ გასწევდა ამ საქმის ხელმძღვანელობას, პრაქტიკულად ვინ განახორციელებდა სოფლის ებრაელობის ჩანაფიქრს. ე.ი. საქმის პრაქტიკული შემსრულებელი იყო საჭირო და არჩევანი ჩემზე შეჩერდა. მე კი პრინციპული გადაწყვეტილება მივიღე – რადგან ასეთი საისტორიო – დიახ, ბანძელებისთვის ეს საისტორიო საქმე იყო – ისეთი ღობის გაკეთება გადავწყვიტე, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ ექნებოდა – მას საუკუნეები უნდა გაეძლო თუ ადამიანი არაფერს ავნებდა. ეს კი არც თუ ისე ადვილი შესასრულებელი ამოცანა გახლდათ. რადგან იმ პერიოდში (90–იანი წლები იყო) საქართველოში ძალიან მძიმე, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. მაგრამ ჩვენი ხალხი ამბობს: „ელოიმ გადოლ“ – ღმერთი დიდია. სწორედ ამ რწმენით შევუდექი იმაზე ფიქრს, თუ საიდან და როგორ დამეწყო. დრო გადიოდა. ეს კი ჭორების საფუძველი გახდა. გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ: „თითიც არ გაუნძრევიათ – ეტყობა ფული შემოეფლანგათ“ ასეთ ხმებს ავრცელებდნენ კიდეც. მე კი ჭორებისთვის არ მეცალა – სულ იმის ფიქრში ვიყავი, რა გზას დავდგომოდი – როგორ შემომეღობა სასაფლაო: რიყის ქვით, აგურით, ბეტონით, თუ თუჯის სხმულით. დრო გადიოდა და არაფერი გაკეთებული არ იყო, მაგრამ არ მეწადა სიჩქარით საქმე გაფუჭებულიყო. ასეთი შემთხვევა მაგონდება – იმ პერიოდში ისრაელში ერთ-ერთი სტუმრობისას აბრამ ჯანაშვილს შევხვდი, რა თქმა უნდა, ჩვენი საუბრის მთავარი თემა ღობე იყო. ახლაც ყურში ჩამესმის „ჩემო სოსო, ხომ იცი როგორ მიყვარხარ, როგორ პატივს გცემ, მაგრამ მეტი არ შემიძლია, შეაკვრევინე ერთი კუთხოვანი რკინის და მავთულის ბადისგან დამზადებული კარები, სურათი გადაუღე და გამომიგზავნე, თორემ სახლიდან გამოსვლა არ მინდა ხალხი მეკითხება ფული რომ შევაგროვეთ, რა გაკეთდაო“.

– აბრამ მაისევიჩ, დამშვიდდი. ამ ქვეყნად ავყია ადამიანებს რა მოლევს – სადაც აქამდე, ცოტაც მოითმინე, ხომ იცი, იმდენი ბოქლომი არ იშოვება, ყველას პირზე რომ დაადო – მე კი ისეთ ბოქლომსჩამოგიტან, ყველა ავყიას ენაც ჩაუვარდება—მივუგე მე.

ამის გაგონებაზე აბრამ ჯანაშვილს სახე გაუბრწყინდა და სიხარულით გადამკოცნა – დარწმუნდა რომ სიმართლეს ვეუბნებოდი.

დროდადრო ჩნდებოდნენ ადამიანები, როგორც ებრაელები, ასევე ქართველები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ხორცი შესხმოდა ამ ჩანაფიქრს. ესენი გახლდნენ ყველასთვის კარგად ცნობილნი: შოთა მეგრელიშვილი, არქიტექტორი სოსო აჯიაშვილი (ისრაელში წავიდა მუდმივ საცხოვრებლად), ფოთის გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი დანიელ მაღალაშვილი, „მეტალოსნაბსბიტის“ მმართველი თავართქილაძე, თბილისის თუჯჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი (სამწუხაროდ, გვარი არ შემომრჩა) უბრწყინვალესი ადამიანი – მასზე ქვემოთ მოგახსენებთ. ქუთაისში „საქართველოს ბანკის“ მმართველი, მარტვილის რაიონის და სოფელ ბანძის ადგილობრივი ხელისუფლება – ქართველი ნაცნობ-მეგობრები.

როგორც იქნა, არჩევანი გავაკეთე თუჯის სხმულზე და თბილისის თუჯსასხმელ ქარხანას მივადექი. ზემოთ აღვნიშნე და კიდევ გავიმეორებ საქართველოში უკიდურესად მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იყო. უსინათლობისა და გაზის უქონლობის გამო მოსახლეობა საჭმელს ეზოებში, შეშის შუაცეცხლზე ამზადებდა. შევაღე ქარხნის დირექტორის კაბინეტის კარი. შემხვდა სანდომიანი სახის კარგი ვაჟკაცი კაცი. ჩემი მისვლის მიზეზი გავაცანი – მაგრამ სახის გამომეტყველებით სასიკეთოს ვერაფერს ვამჩნევდი. როგორ არ მივუდექი, როგორ არ ვთხოვე, როგორ არ ვარწმუნებდი, რომ ეს დიდი და ღირსეული საქმე იყო, მაგრამ არაფერმა გაჭრა; მერე გარკვევით და დამაჯერებლად ამიხსნა:

– ძალიანაც მინდა, დაგეხმარო— მეც მივიღო ამ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობა, მაგრამ არ შემიძლია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ელექტროენერგია ლიმიტირებული მაქვს, მე რომ ელექტროენერგია ამ საქმეს მოვახმარო და მთავრობის დაკვეთა ვერ შევასრულო, ციხე თუ არა, აქედან გაპანღურება ნამდვილად არ ამცდება –მითხრა.

ვატყობდი, ძალიან უნდოდა მომხმარებოდა, მაგრამ არ შეეძლო – და ეს რომ ასე იყო, იქვე აღმოჩნდა. მკითხა მქონდა თუ არა, ჩემი შეკვეთისთვის სამუშაო ყალიბი. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, არა მაქვს–მეთქი.

– აი, აქ კი შემიძლია დაგეხმარო, ერთი კუბური მეტრი ხის მასალა გინდ მქონია და გინდ — არა. მომიტანე შენი დეტალი და მისთვის სამუშაო ყალიბს უსუსყიდლოდ დაგიმზადებ — მითხრა.

მე კი უკმაყოფილოდ ვუპასუხე არ მინდა–მეთქი – შემატყო, ვერ გავიაზრე, რას მთავაზობდა და მითხრა:

— ვგრძნობ თქვენ ვერ ხვდებთ, მე რას გთავაზობთ –თუ სამუშაო ყალიბი გაქვთ, ჩათვალეთ, საქმე ნახევრად გაკეთებულია.

ცოტა ხანში ნამდვილად დავრწმუნდი ამ პიროვნების ჩემდამი, და არამარტო ჩემდამი, კეთილგანწყობაში და ეს იყო, მაშინ როცა დასძინა:

—სულ მოკლე ხანში სამრეკლო ზარები უნდა ჩამოვასხა, თქვენთვისაც გავაკეთებთ და თქვენი წინაპრების საპატივცემლოდ, სიამოვნებით გაჩუქებთ სამ სხვადასხვა ხმოვან ზარს თქვენს სასაფლაოზე ჩამოსაკიდებლად— ახლა ნამდვილად ვირწმუნე მისი კეთილგანწყობა. დიდი მადლობა გადავუხადე – მაგრამ ის კი არ ვუთხარი, რომ ჩვენს სასაფლაოებზე ზარების ჩამოკიდება არ არის პრაქტიკაში.

ასეთივე კეთილგანწყობა ვიგრძენი „გლავმეტალოსნაბსბიტის“ მმართველ თავართქილაძისგან:

— კაცს ერთი შემთხვევა მომეცა, რომ ებრაელებს მხარში ამოვუდგე და ამაზე უარს როგორ გეტყვით?! –მას ლითონის მილები ვთხოვეთ ბოძებად. დააინტერესდა, სად გვინდოდა მილები და როცა ვუთხარით ბანძაში–თქო – ქუთაისის ბაზიდან გამოგვიყო, რომ ჩვენთვის ტრანსპორტირება ადვილი ყოფილიყო.

ყოველივე ამას ასე დეტალურად იმიტომ ვყვები, რომ მეამაყება როგორ იცხოვრეს ებრაელებმა საქართველოში ისე, რომ ქართველებში კეთილგანწყობით და სიყვარულით გვექცეოდნენ. ქართველების მხრიდან ყოველ ნაბი-

ჯზე ვგრძნობდი ჩვენს მიმართ დიდსულოვნებას და პატივისცემას.

ამის დასტურად კიდევ ერთი ეპიზოდი: ბანძა თავის მდებარეობით ერთ–ერთი ცენტრალური სოფელია რაიონში და ამიტომ კვირის ბაზრობა იმართებოდა. მის გარშემო პატარა სოფლის მაცხოვრებლები ყველა კუთხიდან მოდიოდნენ. სავაჭროდ მოჰქონდათ სოფლის პროდუქტი და აქ იძენდნენ თავიანთთვის საჭირო საქონელს. მახსოვს, კვირა დღე იყო. სასაფლაოსთან ჩვენი საქმით ვიყავით გართული – ერთი ხნიერი ყავარჯნიანი კაცი შეჩერდა, საკმაო ხანს გვიყურა. გამოველაპარაკე. მან მითხრა —კარგი ხალხი ხართ ებრაელები – რამდენი წელია წახვედით, მაგრამ წინაპრების საფლავებს არ ივიწყებთ.

მე მას მე ჩემი კეთილი განწყობა შევახვედრე:

— ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ჩვენი წინაპრების საფლავები კეთილი ხალხის მეთვალყურეობის ქვეშ არის.

ჩემს გონებაში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებდა, როგორი უნდა ყოფილიყო ღობე – სულ მის ძიებაში ვიყავი – და ბოლოს, ერთ სოფელში აღმოვაჩინე ის, რასაც ვეძებდი – კითხვა კითხვით ისიც გავიგე, რომ ბათუმში იყო ჩამოსხმული. მისამართიც კი მახსოვს პუშკინის ქუჩა – აქ ერთი პატარა მექანიკური ქარხანა იყო და იქ ამზადებდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო უარი მივიღე. თბილისის ქარხნის დირექტორის ნათქვამი მომაგონდა – თუ სამუშაო ყალიბი გაქვთ, ჩათვალე რომ ნახევარი საქმე გაკეთებულიაო. ბათუმის ქარხანაში მეყალიბე მოვიძიე, გვესაუბრე. ჩემი თხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ მას უფროსების გვერდის ავლით სამუშაოს ყალიბი დაემზადებინა – შიში მქონდა: რადგან ჩამოსხმაზე უარი მივიღე, ყალიბის დამზადებაზეც იგივე არ გამეორებულიყო. ხელოსანი დამპირდა, დავამზადებო. დეტალს დავუმატეთ ცენტრალურ ადგილზე საკმაოდ თვალში მოსახვედრი ზომის დავითის ვარსკვლავი – ასე, რომ ყველა გამვლელისთვის ნათელი ხდებოდა, რომ აქ ებრაული სასაფლაო იყო.

ვუბრუნდები თუჯის სხმულებს – თითქმის არცერთი დიდი ქარხანა არ დარჩენილა – ვისაც კი ვთხოვე, ყველასგან უარს ვიღებდი – და ამ დროს ვიღაცამ მიბიძგა ფოთში გემთმშენებელი ქარხანაა – დირექტორი თქვენებურია, ის დაგეხმარებაო. ამ დროს ფოთში აწგანსვენებული შოთა მეგრელიშვილი მოღვაწეობდა. რომ იტყვიან, სირბილით წავედი ფოთში, შოთასთან – შოთამ იცოდა ჩვენი წამოწყების შესახებ და როდესაც ავუხსენი ჩვენი გამოუვალი მდგომარეობა და გემთმშენებელ დანიელ მაღალაშვილთან შუამდგომლობა ვთხოვე, უარი მითხრა, მერე მივხვდი, რომ მას უნდოდა უშუალოდ დანიელს გადაეწყვიტა ამ საქმის ბედ-იღბალი. დავრეკე დანიელის მისაღებში – მდივანმა ქალმა რუსულად მიპასუხა, ის ფრიად დაკავებულია და ვერ მიგიღებთო. მე კატეგორიული ტონით ვუთხარი შენი გადასაწყვეტი არ არის. მე ის მიმიღებს თუ არა, შებრძანდი, მოახსენე სოსო აჯიაშვილი რეკავს და შეხვედრას ითხოვს-მეთქი – წუთიც არ იყო გასული, რომ გამოვიდა და მითხრა ეხლავე მობრძანდით, გელოდებით, არ დააგვიანოთ – წასასვლელიაო. ჩემმა გუმანმა გაამართლა— მწამდა ჩემი გვარის გაგონებაზე, მიუხედავად იმისა, რომ დანიელი არ მიცნობდა, მიღებაზე უარს არ მეტყოდა. დანიელ მაღალაშვილის სამუშაო კაბინეტი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ჩვენ გავესაუბრეთ და გავეცანით ერთმანეთს, მისვლის მიზეზიც ავუხსენი – საკითხავი რომ არ ჰქონოდა თავიდანვე განვუცხადე, რომ საჭირო თანხა გაგვაჩნდა, მხოლოდ მისი მხრდაჭერა და თანადგომა იყო საჭირო. ასევე ვუთხარი, რომ ჩამოსასხმელად საჭირო სამუშაო ყალიბი გამაჩნია–მეთქი. შევატყე, რომ ამ ფაქტმა მასზე კარგად იმოქმედა და იმედი მომეცა. საამქროს უფროსი დაიბარა და ყველა საჭირო მითითება მისცა. შვებით ამოვისუნთქე –მკითხა ტრანსპორტირების რაიმე საშუალება თუ გამაჩნდა – მე სიმართლე ვუთხარი, არავითარი-მეთქი. – მაშინ როგორც კი პირველი პარტია 60–70 ცალამდე მზად იქნება, შენ ბანძაში ადგილზე დახვდი და ჩემი მანქანით გამოგიგზავნიო. ეს კი, როგორც ამბობენ, მადლს მოყრილი მარილი იყო. რამდენიმე დღეში მივიღეთ თუჯის სხმულები და საქმესაც შევუდექით. ამასობაში ბატონ სოსო აჯიაშვილის (არქიტექტორის) ესკიზით დამზადებული დიდი ალაყაფის კარებიც დავამზადეთ საკმაოდ მხატვრულ დონეზე შესრულებული, ისიც დავამონტაჟეთ და თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

მოსაყოლად ეს ყველაფერი თითქოს ადვილია, მაგრამ არც ასეთი ადვილიც იყო: ადგილზე ბეტონის ასარევად წყალს ხელით შორი მანძილიდან ვეზიდებოდით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ ტრაქტორის მისაბმელით ბეტონიანი წყლის ცისტერნა სავსე წყლით დაგვიდგა. დიდ ყურადღებას იჩენდნენ, თავზე დაგვტრიალებდნენ – ეტყობოდათ, ეამაყებოდთ რომ ასეთი კარგი საქმე კეთდებოდა. მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, თითქმის ყოველდღე წვიმდა, ჩვენ მაინც დიდი ენთუზიაზმით ვიყავით და საქმეც წინ მიდიოდა. ყველაფერს ვიდეოზე ვიღებდით, რათა ჩვენებს, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, თვალნათლივ ენახათ, რა ხდებოდა, როგორ კეთდებოდა, მართლაცდა, საშვილიშვილო საქმე.

სანამ ამ ამბების მოყოლას დავამთავრებდე, მინდა ერთი კურიოზი მოვიგონო: შესვენებისას იქვე, სახელდახელო სუფრას ვშლიდით: კიტრი, პომიდორი – მწვანილი და რა თქმა უნდა, ერთი დიდი „ზაკაზად“ გაკეთებული მეგრული სულგუნი. როგორღაც წუთიერად ყურადღება მოვადუნეთ და სად იყო და სად არა, ერთი კარგი დედაღორი დაერია ამ ჩვენს გამზადებულ სუფრას. თვალის დახამხამებაში თითქმის ყველაფერი გადასანსლა. ბოლოს, სულგუნს პირი დაავლო და ჩვენი „აი და უის“ შეძახილში გაიქცა კიდეც. ბიჭებმა ბევრი ეცადეს სულგუნი პირიდან გაეგდებინათ, ამაოდ – ან რა აზრი ჰქონდა, ვის უნდოდა ღორის ნათრევი სულგუნი.

ამ შემთხვევამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, თუ როგორ საქმეს ვაკეთებდით – დღეიდან ჩვენი წინაპრების სასაფლაო ღორების სათარეშო და საჩიჩქნი აღარ იქნებოდა.

როგორც იქნა, ყველაფერი დასრულდა. ველოდებოდი შემთხვევას, როდის მომიწევდა ისრაელში გამგზავრება – რომ ფირზე გადაღებული ჩვენი ნამუშევარი ისრაელში ბანძელებისთვის გვეჩვენებინა. ეს დღეც დადგა. ძალიან ძნელია იმის გადმოცემა, თუ რას განიცდიდნენ, ან რას ფიქრობდნენ ბანძელები ფირის ჩვენებისას – ვერ მალავდნენ თავიანთ აღტაცებას, სიხარულს, სიამაყეს – ბევრ მათგანს სიხარულისგან ცრემლებიც კი უცურავდა ლოყებზე. ასე, რომ დამთავრდა ეს ეპოპეა, მაგრამ არ დაგვავიწყდება ამ საქმის სულისჩამდგმელი ადამიანები – შოთა მეგრელიშვილი, არქიტექტორი სოსო აჯიაშვილი აბრამ ჯანაშვილი, ეფრემ სემიონოვიჩი, ფოთის გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი – დანიელ მაღალაშვილი, რომლის ღვაწლი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია – თუ მისი კაცური, ნამდვილად მამულიშვილური თანადგომა არა, ამ საქმეს სასიკეთო არაფერი ეწერა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ბანძელებს, რომლებმაც გარდა ფინანსურისა, მორალური თანადგომა გაგვიწიეს მთელი ჩვენი საქმიანობის პერიოდში.

ჩვენ დღეს უკვე წარმავალი თაობა ვართ. შეიძლება ბევრი ვერ გავაკეთეთ, მაგრამ რაც შევძელით, ვაკეთეთ ჩვენი ერის სიყვარულით და ერთგულებით. მოვუწოდებდი და ვისურვებდი, ჩვენმა მომავალმა თაობებმა ასეთივე სიყვარულით აკეთონ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ ჩაფიქრებული ყველა საქმე.

სადაც არ უნდა ვიყოთ, უნდა გვახსოვდეს ხალხი, რომელმაც საუკუნეების მანძილზე თავის კალთებქვეშ შეგვიფარა და მეორე: ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორი ცხოვრებით იცხოვრეს და როგორი სახელი დარჩათ მათ წინაპრებს საქართველოში

ბჭობენ ქართველ ებრაელობაზე

21-23 თებერვალს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა-კონფერენცია იმ საერთაშორისო პროექტის შემსრულებლებისა, რომელსაც ჰქვია „ქართველი ებრაელობა გლობალიზაციის ეპოქაში. თვითიდენტიფიკაციის პრობლემა“. პროექტი მუშავდება ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით და მასში მონაწილეობენ საქვეყნოდ ცნობილი გერმანელი მეცნიერი იუსტ გიპერტი, ფრანკფურტის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, რომელიც ჯავახიშვილის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია, ფრანკფურტის უნივერსიტეტის იუდაისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. ელიზაბეტ ჰოლენდერი, რომელმაც სხვათა შორის დიდებულად იცის ივრითი და იდიში, იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი კონსტანტინე ლერნერი - „ქართველების“ სიძე და დიდებული მოქართულე, რომელმაც, სამწუხაროდ, ამჯერად ვერ შეძლო თბილისში ჩამოსვლა, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორები ნინო ჩიქოვანი და ქეთევან კაკიტელაშვილი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორები ნინო ფირცხალავა და ლალი გულედანი, პროფ. თამარ ლომთაძე, რომელიც ქუთაისის უნივერსიტეტშიც მუშაობს და თბილისის ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც, სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მკვლევარი თამარ კურტანიძე, აგრეთვე ფოლკსვაგენის ფონდის მოთხოვნათა შესაბამისად პროექტში მონაწილეობენ და მოხსენებებით წარდგნენ ახალგაზრდა დოქტორანტები ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი და სოფიო ბილანიშვილი.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიიპყრო რეუვენ ენოხისა და თამარ ლომთაძის საერთო მოხსენებამ, რომელიც მიეძღვნა ებრაულ ლექსიკას ქართველ ებრაელთა მეტყველებაში და ბიბლიასა და ებრაულ სამყაროსთან დაკავშირებულ საკუთარ სახელებს, რომელთაც ქართველი ებრაელები იყენებენ, გაანალიზდა ის ცვლილებები და მათი მიზეზები, რომლებიც ამ ლექსიკურ ერთეულებში ხდება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში.

აღნიშნული კონფერენცია ჯგუფის მეოთხე შეხვედრა იყო, მანამდე გაიმართა შეკრებები თბილისში, პარიზსა და იერუშალაიმში. პროექტზე მუშაობა მომავალი ზაფხულის ბოლოს უნდა დამთავრდეს. დაგეგმილია გამოიცეს შემაჯამებელი წიგნი, რომელიც გააერთიანებს პროექტის მონაწილეთა მუშაობის შედეგებს და უკეთ გაგვათვალისწინებს ქართველ ებრაელთა დამახასიათებელ თავისებურებებს.

ამერიკელები ისრაელს უჭერენ მხარს

აშშ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა , გელაპის ინსტიტუტმა— გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა შეეხებოდა ამერიკის მიქალაქეთა დამოკიდებულებას ისრაელისადმი.

გამოკითხვის შედეგად, რომელიც ჭალლა-მ გამოაქვეყნა, გამოირკვა, რომ ისრაელს ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს: რესპუბლიკური პარტიის მომხრეთაგან 80%, ხოლო დემოკრატიული პარტიის მომხრეთაგან—53%. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერთა შორის ისრაელის მომხრენი ბოლო წლის განმავლობაში 4%გაიზარდა.

ჭალლა-ს მოჰყავს რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის ელი აბრამსის სიტყვები:

—ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ისრაელისადმი ამერიკელების დამოკიდებულებაზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ობამასა და ნეთანიაჰუს შურის ურთიერთობის კრიზისმა. ეს კრიზისი გამოიწვია პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს ცდამ ხელი შეეშალა ირანთან შეთანხმების მიღწევისათვის.

„საჰაერო სნაიპერი“

კონცერნმა საავიაციო მრეწველობამ წარმოადგინა რაკეტა „ჰაერი—დედამიწის“ ბალისტიკური ტრაექტორიის ახლებური კონსტრუქცია. ახალ რაკეტას „საჰაერო სნაიპერი“ შეარქვეს იგი აღჭურვილია ნავიგაციისა და დამიზნების ახლებური, სუპერთანამედროვე სისტემით. ახალი რაკეტის მთავარი ღირსება გახლავთ უმაღლესი სისწრაფე, სიზუსტე, ნებისმიერ ამინდში ნებისმიერი ტიპის სამიზნის დარტყმის დიდი ძალა. „საჰაერო სნაიპერი“ ერთნაირად ეფექტურად ასრულებს თავის სნაიპერულ მოვალეობას როგორც ღამე, ისე ჭექა-ქუხილისას, ნისლში თუ შტორმული ქარისას. ეს რაკეტა იმითაც არის უნივერსალური, რომ მისი გაშვება ნებისმიერი პლატფორმიდან შეიძლება. ერთ პლატფორმაზე შეიძლება ოთხი რაკეტის დაყენება.

მეგობრობის ორდენი

„ინტერფაქსი“ იუწყება, რომ 10 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვის კრემლის ეკატერინეს დარბაზში მეგობრობის ორდენი გადასცა რუსეთის ებრაული თემების ფედერაციის პრეზიდენტს, ცნობილ ფილანტროპს ალექსანდრ ბოროდას. ასეთი მაღალი შეფასება მიეცა ალექსანდერ ბოროდას, რომელიც 12 წელია ხელმძღვანელობს ფედერაციას. ალ. ბოროდა ებრაული კულტურის განვითარებაზე ზრუნვასთან ერთად, 1990 წლიდან საგანმანათლებლო და საქველმოქმედო პროექტებსაც ანხორციელებს, მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვის სათემო ცენტრის, ებრაული მუზეუმისა და ტოლერენტობის ცენტრის მშენებლობაში.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს ბ-ნ აკაკი მაჭუტაძეს, ქ. ახალციხის მერს ბ-ნ გიორგი კოპაძეს

შარშან, 2015 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში, ახალციხეში გესაუბრეთ იმის თაობაზე, რომ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებას განზრახული აქვს აღნიშნოს ახალციხის სინაგოგის საიუბილეო თარიღი. ამ თარიღის ნორმალურ პირობებში აღნიშვნა, კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა ნათელ ქართულ-ებრაულ ურთიერთობას, იმას, თუ რაოდენ ღირსეული ებრაელობა ცხოვრობდა ამ ქალაქში, რა როლი შეჰქონდა მას ახალციხის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ოქტომბრის დამდეგს საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ბ-მა როინ მეტრეველმა და მე, როგორც მისმა მოადგილემ, წერილით მივმართეთ ჩვენი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს (05.10.2015, სარეგისტრაციო ნომერი 66117) და მოვახსენეთ ჩვენი განზრახვის თაობაზე. წერილი წესისამებრ გადმოგეგზავნათ თქვენ.

ამის შემდეგ ახალციხის მერთან ბ-ნ გ. კოპაძესთან მქონდა არაერთი სატელეფონო საუბარი, შევთანხმდით საიუბილეო თარიღის თაობაზე (2016 წლის 12 ივნისი), აშშ ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაციის „ჯოინთის“ ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, ახალციხეში დაბადებული და აღზრდილი მენახემ ელაზარი და მე განვაგრძობდით თანამშრომლობას ახალციხის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან ქ-ნ ცირა მესხიშვილთან წიგნის— „ებრაელები ახალციხეში“ დასამთავრებლად. ჩვენი მიზანი გახლდათ, საიუბილეოდ გამოცემულ ამ წიგნში სრულყოფილად წარმოჩენილიყო ახალციხის ებრაელობის ცხოვრება მესხეთის მადლიან კუთხეში. ამას გარდა, ბ-მა ელაზარმა და მე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულ ახალციხელ ებრაელობას ვაცნობეთ მოსალოდნელი ღონისძიების თაობაზე, რათა იუბილეს დღეებში ესტუმრონ მშობლიურ ქალაქს, ხოლო მათ, ვისაც ეს ხელეწიფება, ვთხოვეთ ც. მესხიშვილის წიგნისათვის დაეწერათ წერილები ახალციხეში მათი, მათი წინაპრების ცხოვრების თაობაზე.

თებერვალში ბ-ნი კოპაძე სტუმრობდა ისრაელს და რადიო „კოლ ისრაელის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუსას, შეკითხვაზე, თუ როდის ჩატარდება იუბილე, განაცხადა, რომ თარიღი ჯერაც უცნობია და ამას დაადგენენ ქ-ნი ჯაყელი და ჯ. ხუხაშვილი(!).

ქ-ნ ჯაყელის თაობაზე ბევრი არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ თბილისში სასტუმროს ფლობს, ხუხაშვილს კი კარგად ვიცნობ.

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ამ წამოწყებასთან რა კავშირი აქვთ ჯაყელს, ხუხაშვილს? გარდა იმისა, რომ ადასტურებს: ხუხაშვილს საკალათბურთო მატჩების რეპორტაჟებისას „პერეხვატის“ ილეთი შეუსწავლია.საიდან სადაო?

ჯ.ხუხაშვილმა ჯერ კიდევ 2008 წელს წამოიწყო ბინძური კომპანია ჩემს წინააღმდეგ: 1970 წელს ანტისიონისტურ კომპანიაში მონაწილეობდაო, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ბ-ნი ვარძელაშვილი რატომ გაგვიკრიტიკეო, რაშიც ქალაქის იმდროინდელ მესვეურებს საპატიო თბილისელობა გამოსტყუა. იმისათვის რომ ხელთ ეგდო საქართველოს ებრაელთა კონგრესის თანათავმჯდომარეობა, დიდი აურზაური ატეხა: სასამართლოებში მიჩიოდა ნარკოტიკებით ვაჭრობა დამაბრალაო. სინამდვილეში მე გავიმეორე ის, რასაც მასზე ამბობდა ისრაელის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, რომელიც დიპლომატიურ სამსახურში მოსვლამდე პოლიციის გენერალი გახლდათ. საქართველოსა და ისრაელის სასამართლოებში პროცესი დაახლოებით სამი წელი გრძელდებოდა, მაგრამ პოლიციის გენერალს და ყოფილ ელჩს ერთხელაც არ განუცხადებია, ის, რაც ბათიაშვილმა დაწერა ტყუილია— არსად მითქვამსო, თუმცა, ხუხაშვილის მიერ წამოწყებული კომპანიასა და სასამართლო პროცესებზე კარგად იყო ინფორმირებული.

ხუხაშვილი ჩემგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. არც ისრაელის, არც თბილისის სასამართლოს ჩემთვის არ დაუვალებია ბოდიშის მოხდა და არც მომიხდია. თავადაც კარგად უწყოდა, რომ ასეთი შედეგი იქნებოდა, მაგრამ მას ხმაური ეწადა: საზოგადოებას არწმუნებდა, ბათიაშვილი საქართველოს მოღალატეაო, ისრაელელებს კი ჩააგონებდა, ისრაელის მტერიაო. სასამართლოზე იქადდა ბათიაშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად გაზეთი შევქმენიო. ამ გაზეთში ბეჭდავდა ჩემს განმაქიქებელ კოლექტიურ წერილებს. როცა კ.მარჯანიშვილის თეატრში ჩემს პიესას ამზადებდნენ, თეატრს ემუქრებოდა, თუ ბათიაშვილის პიესის დადგმას არ შეწყვეტთ, პრემიერაზე აურზაურს მოგიწყობთ და ჩაგიშლითო,თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელთაგან მოითხოვდა ბათიაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორობიდან მოხსენითო, რომელიმე სატელევიზიო არხზე თუ დამინახავს, წამყვანს საყვედურობს, რატომ მიიწვიეთო, როცა „კოლ ისრაელში“ ბ-ნი კოპაძის საუბარი მოვისმინე, გამახსენდა ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში მის მიერ ჩემთვის ნათქვამი თეატრში დასადგმელ პიესაზე ტენდერი— კონკურსი უნდა გამოვაცხადოთო და მივხვდი, საიდანაც მოდიოდა „მისი იდეა“.

ხუხაშვილს ახასიათებს იყოს იმის მეგობარი, ვინც დროს იმორჩილებს— დღეს ხუხაშვილი საქართველოს ხელისუფლებასთან გახლავთ დამეგობრებული. ეს აძლევს უფლებას, თავს წარმოაჩენდეს საქართველოს ებრაელობის ყოველდღიურობის გამგებელად. მე არ გახლავართ დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტი, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა არ მაკავშირებს მის წევრებთან, თუმცა, მის ლიდერს, ქართული კულტურისადმი დიდი ამაგის გამო, განსაკუთრებულ პატივს ვცემ. ნუთუ, ასე აუცილებელია მთავრობის წევრებთან იყო დაახლოებულ-დამეგობრებული,რომ ესათუის წამოწყება, მოღვაწეობა ხუხაშვილისმაგვარმა ადამიანებმა არ დაბლოკონ— ხელისუფლება ამ თეზას ამკვიდრებს? ზოგი რამ არ მომწონდა ნაციონალებისა, ამაზე პრესაშიც დამიწერია. ცხადია, არც ჩახუტებული ვყოფილვარ მათთან, მაგრამ ჩემს მოღვაწეობაში მათი ხელისშეშლა, არასოდეს მიგრძვნია: თუ რაიმე სასიკეთოს წამოვიწყებდი, მიუხედავად ჩემი კრიტიკული პათოსისა, მხარდაჭერაც მქონდა.

ხუხაშვილი კი ხელისუფლებასთან მეგობრობას სხვათა დაბლოკვისათვის იყენებს.

ბატონო გუბერნატორო, ბატონო ქალაქის მერო, ჩვენ გვამოძრავებდა კეთილი ზრახვა, თქვენ კი ჩვენი სულისკვეთება მოისროლეთ, ხუხაშვილის ამბიციას, რახან ხელისუფლება თავზე ხელს უსვამს, ანაცვალეთ ადამიანური ურთიერთობა, ნორმალური თანამშრომლობა. არა ვგონებ, ეს თქვენი არჩევანი იყოს. მართალია, ამ ბინძურ საქმეში მთავარ ბრალეულებად თქვენ არ მიმაჩნიხართ, მაგრამ ეს მაინც თქვენი შეცდომაა—ცენტრალური ხელისუფლებიდან ასე გიკარნახეს და არა-რა სურვილი არ გაქვთ, ის პიროვნება დაასახელოთ, მაგრამ თუ გინდათ, ხვალ სხვამ არ გაგაკეთებინოთ მისთვის საამო და ხელისუფლების ღირსებისათვის საზიანო, ანალოგიური უგვანო საქმე, უნდა დამეთანხმოთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თავისი წინდაუხედაობით, ქმნის იმ უსიამოვნო მდგომარეობას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში შეინიშნება და რომლის მონაწილე თქვენც გაგხადეს.

მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტზე დანიშვნა, არჩევნებში გამარჯვება, ცხადია, ჩინებულია, მაგრამ რეგიონის ხელმძღვანელს, არჩეულ მერს, თუ თავისი კუთხის, ქალაქის ღირსებისათვის პრინციპული ბრძოლაც არ ძალუძს, ცუდია, ძალიან ცუდი!

P.S. ორ კვირაზე მეტია წინამდებარე წერილი ადრესატებს გადაეგზავნათ. არა-რა ნიშანი სინანულისა. ამიტომ მე ვრაცხ თავს ვალდებულად ბოდიში მოვუხადო გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს როინ მეტრეველს: იგი სწორედ ჩემი წინადადებით ჩაერთო ამ კეთილშობილურ წამოწყებაში. მოხსენიებულმა პირებმა კი ჩინებულად გამოხატეს დრო!

გურამ ბათიაშვილი
6 მარტი, 2016
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

კაბალის მიმდევრები ყველა ქვეყნიდან თელ-ავივში შეიკრიბენ

მიმდინარე წლის 23 – 25 თებერვალს თელ-ავივში ჩატარდა ორგანიზაცია „**ha tovim**“-ის ყოველწლიური საერთაშორისო ყრილობა. ეს მოძრაობა აერთიანებს მთელი მსოფლიოს კაბალის მიმდევრებს და მიზნად ისახავს ყველა ხალხისა და ერების ერთობას, ადამიანების დაახლოებას, ურთიერთმხარდაჭერას, თანაგრძნობას. ასეთი თავშეყრა, რომლის მიზანია ისრაელის სახელმწიფოს სოლიდარობა, მაშინ როდესაც ისრაელს განუწყვეტლად თავს ესხმიან საერთაშორისო ასპარეზზე, მეტად შთამბეჭდავი და ღირსშესანიშნავია.

ყრილობის ძირითად ღონისძიებას, რომელიც მიმდინარეობდა 24 თებერვალს თელ–ავივის საგამოფენო კომპლექსში (განეი თარუხა) ესწრებოდა 6000-ზე მეტი ადამიანი 64 ქვეყნიდან. მათ შორის იყო 1000-ზე მეტი კაცი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან. ამდენივე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან, 400 – დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (ინგლისი, საფრანგეთი, ნორვეგია და სხვა). საკმაოდ ბევრი ადამიანი იყო აფრიკიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

კონგრესს ესწრებოდა 4 სტუმარი საქართველოდან, ხოლო ისრაელის წარმომადგენლებს შორის იყო არა ერთი ქართველი ებრაელი. სხვათა შორის თბილისში არსებობს სპეციალური კაბალისტური ჯგუფი, რომელიც საკმაოდ ინტენსიურ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა. მიმდინარეობს ყოველდღიური შეხვედრები, მეცადინეობები, კაბალისტური ლიტერატურის თარგმნა.

განსაუთრებით შთამბეჭდავი იყო ისრაელთან არც თუ ისე კარგ ურთიერთობაში მყოფი სახელმწიფოების – შვედეთის და თურქეთის მოქალაქეების გამოსვლა.

შვედეთის წარმომადგენელმა ბოდიში მოიხადა თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობილი გამოსვლის გამო და განაცხადა , რომ ოფიციალური პოზიციისაგან განსხვავებით ჩვეულებრივი შვედები მთელი გულით მხარს უჭერენ ისრაელის ხალხს. დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა ებრაელებს აგრეთვე გერმანიის წარმომადგენელმა, ხოლო მისი განცხადება, რომ კატასტროფა აღარასოდეს აღარ უნდა განმეორდესო, დარბაზმა მხურვალედ აიტაცა.

მრგვალი მაგიდების ირგვლივ ერთიმეორის გვერდით ისხდნენ რელიგიური და არარელიგიური ებრაელები, ქრისტიანი – პროტესტანტები ამერიკიდან და აფრიკელები, რუსები და უკრაინელები, თურქები და ისრაელები. ყრილობის მსვლელობა სინქრონულად 24 ენაზე ითარგმნებოდა.

კონგრესს ესწრებოდნენ ისრაელის მთავრობის წევრები: ტრანსპორტისა და დაზვერვის სამსახურის მინისტრი – ისრაელ კაცი, შინაგანი უშიშროების მინისტრი – გილად ერდანი, კულტურისა და სპორტის მინისტრი – მირი რეგევი. მათ მხურვალე გამოსვლებში ხაზგასმით ისმოდა კონგრესის ძირითადი თემა: ხალხების ერთობა და ისრაელის საერთაშორისო მეგობრების მხარდაჭერა.

მოძრაობის ხელმძღვანელმა, ცნობილმა კაბალისტმა, პროფესორმა მიხაელ ლაიტმანმა განაცხადა: „ესეთი ყრილობა უკვე მეშვიდედ ტარდება და მე ყოველთვის, თითქოს პირველად, განცვიფრებული ვრჩები ამ არაჩვეულებრივი შესაძლებლობით – ვიგრძნო ერთობა ისრაელის ხალხთან და ათასობით ადამიანების მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრების შემდეგ მსოფლიოში იქნება ოდნავ მეტი სინათლე ყველა ხალხებისათვის“

პროფ. სიმონ სიმონიშვილი

საინტერესო შეხვედრა

მ/წის 6 მარტს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავში შედგა სალოცავის გამგეობისა და შემოქმედებითი გაერთიანება „თარბუთის“ წევრების შეხვედრა ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ კონსულთან, ქალბატონ დიანა ჟღენტთან და აშშ-ი საქმიანი ვიზიტით მყოფ საქართველოს მთავრობის „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ ოფიციალურ დელეგაციასთან. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ბატონები: ზაზა ვაშაყმაძე, არჩილ მეტრეველი და მალხაზ აფციაური.

სააგენტოს პრიორიტეტული ამოცანაა გამოავლინოს, აღადგინოს და გადასცეს საკულტო შენობა-ნაგებობანი შესაბამის კონფესიებსა და რელიგიურ გაერთიანებებს, დაადგინოს მათი სამართლებრივი სტატუსი, რელიგიური უფლებამოვალეობანი, ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა, ხელი შეუწყოს და მატერიალური დახმარება გაუწიოს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მორწმუნე ადამიანების სულიერ-რელიგიური განათლების საქმეს, გაანალიზოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და დასახოს მისი სტრატეგია.

ბატონმა ზაზა ვაშაყმაძემ წარმოადგინა სააგენტოს 2015 წლის მუშაობის ანგარიში. პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული ინტერაქტიური დიალოგებისა და სათათბიროების შექმნის მიზნით.

თემატიკა მართლაც აქტუალურია: „რელიგია და საქართველო“, „რელიგია და განათლება“, „რელიგია და მედია“. ჩატარებული მუშაობის გეგმა და დასახული პერსპექტივები ილუსტრირებულია მდიდარი სტატისტიკური მასალებით.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მიხეილ ფიზიცკი

„მადლიერებისა და ხსოვნის საღამო“

მ/წის 14 თებერვალს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა სალოცავში შედგა „მადლიერებისა და ხსოვნის საღამო“, რომელიც მიეძღვნა ფართოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების — გიორგი (გიგლა) ხუხაშვილის, ოთარ სეფიაშვილის და ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სალოცავის პრეზიდენტმა იოსეფ პატარკაციშვილმა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ ფიზიცკიმ და მწერალმა, ჟურნალ „მამულის“ რედაქტორმა მანუჩარ კაჭახიძემ ზოგადად, მაგრამ ღრმა შინაარსიანად მიმოიხილეს აწ განსვენებულთა მრავალმხრივი და ხელხვავიანი შემოქმედება. ნაჩვენები იქნა შემოქმედებითი გაერთიანება „თარბუთის“ პრეზიდენტის და გაზეთ „დავითის ფარის“ რედაქტორის სიმონ კრიხელის მიერ მომზადებული სამ ნაწილიანი ფილმი, რომელიც ასახავს გიორგი ხუხაშვილის, ოთარ სეფიაშვილის და ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრების სამაგალითოდ გამოვლილ გზას, მათ ნაყოფიერ შემოქმედებას, წარუშლელ კვალად რომ დააჩნდა საქართველოს კულტურას, ქართველ ებრაელთა თვითმყოფადობას. ისრაელიდან და საქართველოდან გვესიტყვებოდნენ ფართო ეკრანიდან ჩვენი თემის გამოჩენილი პიროვნებები: ბატონი დავით ბააზოვი — რუპერტის აკადემიის პროფესორი, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე, საქართველოს საპატიო მოქალაქე; ქალბატონი ზაირა დავარაშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი; ქალბატონი ნანა შაბათაშვილი დავარი — პოეტი, პუბლიცისტი, საქართველოს კულტურის დესპანი, ანა კალანდაძის სახელობის პრემიის ლაურეატი; ბატონი გერშონ ბენორენი (წიწუაშვილი) — მწერალი, მთარგმნელი, აღმოსავლეთ მცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, იერუშალაიმის ებრაული უნივერსიტეტის თანამშრომელი; ქალბატონი დოდო ჩიკვაშვილი — თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიის აკადემიის აკადემიკოსი.

მხატვრულ განყოფილებაში ბატონმა ირაკლი კრიხელმა ვიდეოკლიპების თანხლებით წაიკითხა გიორგი ხუხაშვილის ლექსები წიგნიდან „ბიბლიური მოტივები“: „იერუსალიმი“, „იერემიას გოდება“, „საქართველო“, ჯემალ აჯიაშვილის მიერ თარგმნილი ნელლი ზაქსის ლექსი „იწერებოდა ზოჰარის სიტყვა“ (წიგნიდან „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“), ქალბატონმა ცისანა ჯანაშვილმა — ამონარიდი ოთარ სეფიაშვილის წიგნიდან „ფურიმი – ამბავი ესთერისა“ (ბიბლიური „ესთერის წიგნის“ ბელეტრიზებისა და ინტერპრეტაციის ცდა), ბატონმა გერა დავარაშვილმა — ნაწყვეტები ოთარ სეფიაშვილის წიგნიდან „ხსოვნა“ (სიმფონია: ქრონიკები და ინტერმედიები ანუ ბედი ქართველ ებრაელთა) და ჯერაც გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან „მიახლება მარადიულთან“, ბატონმა გერა დედიაშვილმა — საკუთარი ლექსი „ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნას“.

თორის ზეგარდმო სიბრძნით გაჯერებული სიტყვებით გამოვიდნენ: თემის მთავარი რაბი აბრაჰამ აშვილი (წიწუაშვილი) და რაბი აჰარონ ხენი (ხახიაშვილი). სალოცავის პრეზიდენტმა იოსეფ პატარკაციშვილმა მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს — გაერთიანება „თარბუთის“ შემოქმედებით ჯგუფს, პრეზიდენტს სიმონ კრიხელს, პროგრამისტ-დიზაინერს გარი ბალდვინს და დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ „თარბუთის“, სალოცავის გამგეობის და ჟურნალ „მამულის“ რედაქტორის მანუჩარ კაჭახიძის ერთობლივი ძალისხმევით მალე გამოიცემა ნეტარხსენებული ოთარ სეფიაშვილის ბოლო ნაშრომი „მარტოსულობის ნათელ-ჩრდილი“, რომელიც ქართველი ებრაელი პირველი მხატვრის შალომ კობოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

საღამოს ესწრებოდნენ გიორგი ხუხაშვილის და ოთარ სეფიაშვილის ოჯახების წევრები, მათი შთამომავლობა და ახლობლები. ესტაფეტის გადაცემის სიმბოლურ აზრს ატარებდა ციტატის წაკითხვა ქართულ და ინგლისურ ენებზე ოთარ სეფიაშვილის წიგნიდან „ხსოვნა“. ქართულად ბატონმა გერა დავარაშვილმა წაიკითხა: „არ არის ერი საკუთარი ისტორიის ხსოვნის გარეშე. ხალხს არა აქვს უფლება თავისი გამოვლილი გზის დავიწყებისა, თუ სურს, რომ ერად იწოდებოდეს. უისტორიოდ იგი მხოლოდ უსახური და ამორფული მასაა, ყოველგვარ ინდივიდუალობას მოკლებული. თითოეული ერი კი ისტორიის გზებზე დატოვებული კვალით ფასდება, — იმით, რაც მიუტანია და დაუდია საკაცობრიო საგანძურში.“ და დარბაზიდან ავანსცენაზე გამოიხმო გიორგი ხუხაშვილის შვილიშვილი მირიამ ხუხაშვილი, რომელმაც ინგლისურ ენაზე გამოცემული „ხსოვნით“ („MEMORY SYMPHONY“) დააგვირგვინა „მადლიერებისა და ხსოვნის საღამო“:

„The re is no nation without a memory of its own history. People have no right to for get the road they have passed if they want to be called a nation. Without their history, they may only be an amorphous mass, having no individuality. Each nation is evaluated by the trace it leaves on the roads of history, with it has contributed to the treasury of man kind.“

გაზეთი „დავითის ფარი“ №252

დაკეტილი კარი საქართველოში არსებული სინაგოგების ერთგვარ სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარის, მერაბ ჩანჩალაშვილის თქმით, ძირითადი პრობლემა, რაც სინაგოგების ფუნქციონირებას ხელს უშლის, საქართველოდან ებრაელთა დიდი მიგრაციაა. აღნიშნულ საკითხზე საქართველოში დარჩენილი ებრაელებიც საუბრობენ.

ნათია გოგოლაშვილი

ქართველი ებრაელების ისრაელში მასობრივი წასვლის პროცესი მიმდინარეობდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ებრაელებს უფლება მიეცათ, საცხოვრებლად წასულიყვნენ ისრაელში და ამ საშუალებით ათასობით ებრაელმა ისარგებლა.

დაკეტილი ონის სინაგოგის შესახებ humanrights.ge რამდენიმე კვირის წინ წერდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფს მსგავსი სიტუაცია დახვდა ახალციხესა და ბათუმშიც. ახალციხეში რაბათთან გურამიშვილის ქუჩაზე ორი სინაგოგა - ქვედა და ზედა სინაგოგა მდებარეობს. მათი კარიც საგულდაგულოდ ბოქლომით არის დაკეტილი.

ახალციხის ზედა სინაგოგა აშენებულია 1863 წელს, მას 2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. იგი საქართველოში დღემდე შემორჩენილ სინაგოგებს შორის ყველაზე ძველი, 153 წლის, სინაგოგაა. 2012 წელს, რაბათის რეკოსტრუქციისას, რესტავრაცია ახალციხის ზედა სინაგოგასაც ჩაუტარდა, რა დროსაც ზეთის საღებავებისგან მთლიანად გაიწმინდა ხის ელემენტები და აღდგა მხატვრობის დაზიანებული ნაწილები.

ახალციხის სინაგოგების ბოქლომდადებული კარებიადგილობრივმა ებრაელმა სიმონ რევიშვილმა გაგვიღო. „1953 წელს, სტალინის ბრძანებით, ახალციხის ორივე სინაგოგა ჩამოგვერთვა და დაიკეტა. დაკეტვიდან ორი თვის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა. სათავეში ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ კი, მისივე ბრძანებით, მხოლოდ ზედა სინაგოგა დაგვიბრუნეს. ეს სინაგოგა დღეს მოქმედია და სახელმწიფომ სარგებლობაშიც გადმოგვცა“, - ამბობს სიმონ რევიშვილი.

სიმონ რევიშვილის თქმით, საბჭოთა პერიოდში ახალციხეში 3000-4000 ებრაელი ცხოვრობდა. ახლა კი მხოლოდ ორი ოჯახია დარჩენილი. სინაგოგაში ლოცვები ყოველდღიურად არ მიმდინარეობს, რადგან საკმარისი რაოდენობის მრევლი ვერ იკრიბება. „ზაფხულობით, როცა ებრაელი ტურისტები ჩამოდიან, ლოცვები თითქმის ყოველდღე ტარდება. ნოემბრიდან აპრილამდე კი ლოცვები ხალხის მცირე რაოდენობის გამო არ ტარდება. თუმცა, მე ყოველდღე ამოვდივარ და ვაღებ სინაგოგას“, - გვითხრა სიმონ რევიშვილმა.

ახალციხის ზედა სინაგოგისგან განსხვავებით, ქვედა სინაგოგა მოუვლელი და მიტოვებულია. ებრაელები მის სარგებლობაში გადაცემას ითხოვენ. იგი 1902 წელს აიგო. მსგავსად ზედა სინაგოგისა, მასაც 2011 წელს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ადგილობრივები ყვებიან, რომ საბჭოთა კავშირის დროს აქ სხვადასხვა დაწესებულება იყო განთავსებული: ბიბლიოთეკა, კინოკლუბი, საბილიარდე, ბოლოს კი - კრივის დარბაზი.

„ახლა მიტოვებულია ეს შენობა. დაახლოებით, 1972 წელს აქ სპორტდარბაზი გაკეთდა, რა დროსაც სინაგოგას საშხაპეებისთვის განკუთვნილი ნაგებობა მიაშენეს. აქვე, ჩვენს ტერიტორიაზევე, გააკეთეს სტადიონიც. შენობა მაშინაც დაამახინჯეს, როცა აქ კინოდარბაზი ფუნქციონირებდა - რამდენიმე ფანჯარა ამოავსეს და ამოლესეს“, - აცხადებს სიმონ რევიშვილი.

ადგილობრივი მანია შანთაძე, რომელიც სინაგოგის გვერდით ცხოვრობს, გვიყვება, რომ შენობის ტერიტორიას ასუფთავებს ხოლმე. „5-6 წელია, რაც ასე დაკეტილია ეს შენობა. სინაგოგის ტერიტორიას ხანდახან ვასუფთავებ და ვგვი ხოლმე. მეცოდება, სახელმწიფო მას არ უვლის. ებრაელი ტურისტები მოდიან, სურათებს უღებენ. ზაფხულში განსაკუთრებით ბევრი ტურისტი მოდის, მათთანაც სირცხვილია, შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია დაულაგებელი რომ იყოს“, - გვითხრა ადგილობრივმა მანია შანთაძემ.

დღესდღეობით სინაგოგის ფასადებსა და სახურავზე გაზრდილია ხე-მცენარეები, სახურავი მოძველებულია, მოუვლელი და დაუსუფთავებელია სინაგოგის ინტერიერიც. მოკრივეთა გაყვანის შემდეგ მთავრობას სურდა სინაგოგის რეაბილიტაცია, მაგრამ სამუშაოები არ განხორციელებულა. ახალციხის რაბათის რეაბილიტაციის დროს დაგეგმილი იყო არა მხოლოდ ამ კონკრეტული შენობის, არამედ მთლიანად ქვედა რაბათის უბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, მაგრამ 2012 წლის შემდგომ სამუშაოები შეჩერდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ახლო მომავალში ძეგლის რეაბილიტაცია არ იგეგმება.



1904 წელს აიგო ბათუმის სინაგოგა, რომელსაც დღეს რეკონსტრუქცია უტარდება. ამ ეტაპზე რეკონსტრუციის პროცესი მთავრდება: „რეკონსტრუქცია უკვე 7 თვეა, მიმდინარეობს. დაახლოებით ერთ თვეში დავამთავრებთ. რთული მდგომარება იყო. ნესტისგან დაზიანებული იყო მთლიანად სინაგოგისში და ინტერიერი და ყველაფრის აღდგენა მოგვიწია. შეიცვალა შესასვლელი კარიც“, - აცხადებს სარემონტო სამუშაოების ხელმძღვანელი ზურა კაცობაშვილი.

ამჟამად, სინაგოგას სიპ „საქართველოს ებრაელთა კავშირის“ სარგებლობაშია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ძეგლზე გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული, მაგრამ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა გარკვეული ხარვეზებით. დღესდღეობით, ამ ხარვეზთა გამოსწორება გათვალისწინებულია შპს „სინუსის“ მიერ 2015 წელს მომზადებული პროექტით. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს შპს „ირიდიუმი“. სამუშაოები საქარველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა მეთვალყურეობით მიმდინარეობს.

„30-იანი წლების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ სინაგოგა დაიკეტა, ისევე, როგორც სხვა რელიგიური ორგანიზაციების დაწესებულები. შემდეგ აქ იყო სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“. 1992 წელს კი ისევ ჩვენ დაგვიბრუნეს, სინაგოგამ ფუნქციონირება დაიწყო. ფუნქციონირება დაიწყეს ასევე სხვა ებრაულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც. სინაგოგის პირველი რესტავრაცია განახორციელეს 1998 წელს. ახლა რემონტისთვის ფინანსურად ევროაზიური კონგრესი გვეხმარება. რემონტი ძალიან სერიოზულად, კაპიტალურად მიმდინარეობს“, - აცხადებს აჭარის ებრაელთა საზოგადოების ხელმძღვანელი ემილ კრუპნიკი.

ემილ კრუპნიკი, ჩვენთან საუბრისას, მლოცველთა შემცირებულ რაოდენობაზე მიუთითებს: „ეს ძალიან მტკივნეული საკითხია, რადგან საბჭოთა კავშირის პერიოდში მთავრობაც დილობდა, ხალხი რელიგიისთვის ჩამოეშორებინა. ჩვენთან ლოცვები რეგულარულად არ მიმდინარეობს. თუმცა, ებრაელთა ყველა ტრადიციულ დღესასწაულებს აღვნიშნავთ“, - ამბობს ემილ კრუპნიკი.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რათა მიეღოთ სტატისტიკური მონაცემები ებრაელთა მიერ საქართველოს საზღვრების დატოვებისა და მათი ქვეყანაში შემოსვლის შესახებ. სამინისტროს პასუხის თანახმად, საქართველოდან ებრაელთა გასვლისა და შემოსვლის შესახებ სტატისტიკური მონაცემები დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს არ აქვს.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებით, მონიტორინგს ექვემდებარებიან საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩვენი თანამემამულეები. ამ განმარტებიდან იკვეთება, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ქართველ ებრაელებს არ განიხილავს თანამემამულეებად, მათ შორის არც იმ ებრაელებს, რომლებსაც აქვთ ორმაგი მოქალაქეობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფო სტრუქტურამ, რომლის ამოცანებშიც შედის საზღვარგარეთ, გარე მიგრაციული (ემიგრაციის) ნაკადების მონიტორინგი. უნდა შექმნას საინფორმაციო ბაზა საქართველოდან ისრაელში ემიგრირებული, განსაკუთრებით კი - ორმაგი მოქალაქეობის მქონე ებრაელების შესახებ. ამავე დროს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ქართველ ებრაელთა დიასპორასთან ისეთივე მიდგომით უნდა იმუშაოს, როგორც სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრაციასთან, თანამემამულეებთან და თანამოქალაქეებთან“, - აცხადებს ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის კოორდინატორი, ნანა სანებლიძე.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ სინაგოგების დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებისათვის, სასურველია, საქართველოს ხელისუფლებამ იზრუნოს ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან კონტაქტების გაღრმავებაზე და მათი ნაწილის საქართველოში დასაბრუნებლად, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე.

სტატია მომზადდა კანადის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას, შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

გ ა ც ი ს კ რ ო ვ ნ ე ბ ა

შალვა და როზმარი მარდი

გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი შალვა მარდი (მარდახიაშვილი) „მენორას“ რედაქციას ხშირად ეხმიანება. ამასწინათ გვწერდა: „მიუხედავად იმისა რომ მე 83 წლისა ვარ, როზმარი კი ოთხმოცის, კვლავაც ნაყოფიერად ვშრომობთ. ვკურნავთ ათობით კიბოთი დაავადებულ ადამიანებს და იმასაც ვასწრებთ, რომ, კარაქიანი, ხიზილალამოყრილი პურის ფული ვიშოვოთ. პენსიას კი არ გვაძლევენ. გვეუბნებიან, პენსია თქვენთვის ჯერ კიდევ ადრეაო. მედიცინაში რომ ახალ ფარმაპროდუქტზე მსოფლიო, ან აშშ პატენტი მიიღო, ძალიან რთულია, ჩვენ ძალიან გვახარებს, რომ იურა, ჯიმშერ, როზმარი და შალვა მარდებმა ასეთი პატენტი მიიღეს. ეს ძალიან დიდი მიღწევაა. შედით „გუგლიში“ გახსენით „შალვა მარდი. გაიხარებთ.“

პატივისცემით **შ.მარდი.**

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს როზმარი და შალვა მარდის წიგნიდან „სიბრძნით დაბრძენილ ბრძენთა ვნებათაღელვანი“, რომელიც 1908 წელს თბილისში გამოიცა.

ფსიქიატრიის ისტორიაში პირველად დოქტორი ზიგმუნდ ფროიდი ფსიქოანალიზის გზით და ღრმა ჰიპნოზის გამოყენებით ადამიანური განათება-გაცისკროვნების და ქვეცნობიერი ენერგიის სიმდიდრის და საიდუმლოს ამოხსნას შეეცადა. იგი საკუთარი გამოკვლევების შედეგებს უახლოეს მეგობრებთან ერთად შეეცადა. იგი საკუთარი გამოკვლევების შედეგებს უახლოეს მეგობრებთან ერთად განიხილავდა. ფროიდის მეგობრების სიაში იყვნენ იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილი ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი,ექსტრასენსი ვოლფ მესინგი და დიდი მსახიობი ჩარლი ჩაპლინი. საბედნიეროდ, თუ ბედის ირონიით, ისინი ებრაელები იყვნენ და არა მხოლოდ ფაშისტების, არამედ თვით ადოლფ ჰიტლერის მიერ იდევნებოდნენ. ჩემი თვალსაზრისით ამ ადამიანების ქვეცნობიერთან შეხებამ ტვინის შიდაქერქოვანი სტრუქტურის გარკვეული გააქტიურება გამოიწვია, რის შედეგადაც ფროიდის ახალი სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობის აუცილებელი განათება-გაცისკროვნება მოხდა. ისინი არა მხოლოდ მე-20-21-ე საუკუნეების ყველაზე ცნობილ პიროვნებებად იქცნენ, არამედ მთლიანად კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში მარადიული სახელი დაიმკვიდრეს.

სიყვარული — იუმორისა და სატირის ასპექტში

*ქალების ფეხებისა და მინი ქვედა კაბის სიგრძის ჯამი ყველა ქალისათვის თითქმის ერთნაირია.

* საყვარელი ქალის გრძელი ფეხები მამაკაცის ღამეს ამოკლებს

*—მუსია, შენი მინი ქვედა კაბით მთელი სადღესასწაულო საღამო მომისპე.

— ხაიმ, შენ კი, შენი მამაკაცური მინიუღირსობით, მთელი სიცოცხლე.

*მამაკაცი ქალის წინაშე მუხლზე იმიტომ ეცემა, რომ მისი კაბის ქვეშ შეიხედოს.

* დუმილი ქალისთვის ოქრო არ არის.

*ქალი კოსმეტიკას და მაკიაჟს იყენებს,რათა დამალოს ის,რაც სახეზე აწერია.

*ძველ დროში სიყვარულს ეწირებოდნენ, ახლა კი მის შედეგებს.

* ქმარი ცოლს როდის ჩუქნის ძვირფას თაიგულს?

ა) როცა საყვარელი ქალი პაემანზე არ მოდის.

ბ) როცა საყვარლის კარი შიგნიდანაა ჩაკეტილი და არავინ აღებს.

გ) როცა მამაკაცი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ცოლი საყვარელს ყველანაირად სჯობია.

დ) როცა ქმარს სინდისი ქენჯნის.

*როდესაც დირექტორი თავისი კაბინეტისათვის ახალ საწერ მაგიდას ყიდულობს,პირველ რიგში ახალგაზრდა მდივან ქალს უნდა ჰკითხოს, მაგიდა ხომ არ ჭრიალებს. რიხტერის შკალით 10 ბალიან „მიწისძვრას“ გაუძლებს თუ არა.

*ამ ბოლო დროს უცნაური მამაკაცები მომრავლდნენ: თუ უარს ეუბნებიან, სწყინთ, თუ ქალი თანხმობას უცხადებს, აღარ შეუძლიათ.

* ქალები რომ არ არსებობდნენ, ზედმეტი ფულის შოვნას აზრი არ ექნებოდა.

*სიყვარულისაფრანგეთშიკომედიაა,ინგლისსი—ტრაგედია,იტალიაში —ოპერა, გერმანიაში—მელოდრამა, რუსეთში—ფინანსურ-სოციალური გარდაქმნა.

*მამაკაცებო,საყვარლებსა და ცოლებს ერთნაირი სუნამოები უყიდეთ, რადგან ცოლებს განსაკუთრებული სუნთქვა აქვთ.

რით ზიდავენ სხვადასხვა ეროვნების ქალები მამაკაცებს?

ქართველი — მანდილოსნობით,
შვედი — ფერმკრთალობით,
იაპონელი — პირში ქებით,
ესპანელი — კეკლუცობით,
ფრანგი — სექსით,
ესტონელი — ტემპით,
ბრაზილიელი ცეკვი,
ამერიკელი — საქმიანობით,
უკრაინელი — ტანით,
ებრაელი —კვნესით,
სომეხი — თეძოებით,
ინდოელი — ეროტიზმით,
იტალიელი — სიმღერით,
რუსი — სილამაზით,

თარგმანი
დეა და თეიმურაზ
შაშიაშვილებისა

ქნესეთის დეპუტატი მკვლელებს ადიდებს

ქნესეთის დეპუტატი ბასელ გეტესი (გაერთიანებული არაბული სია) ტელევიზიით გამოვიდა და შახიდებს ქებათა-ქება შეასხა. ისრაელის არაბულენოვანი ტელევიიზის „ხალა“ მიცემული ინტერვიუსას ბახელ გეტესმა, რომელიც არაბული პარტიის „ბალადის“ ხელმძღვანელობის წევრია, განაცხადა, რომ პალესტინელი ტერორისტები განა „კრიმინალური მიზნით სჩადიან ტერორისტულ აქტებს, ისინი მჩაგვრელებს ებრძვიან“ გეტესმა აღნიშნა, რომ შეხვდნენ თვითმკვლელი შახიდების ოჯახების წევრებს, სადაც ხაზი გაუსვეს იმას, რომ თვითმკვლელები თავთავიანთ საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებენ.

თებერვალში გეტესს და „ბალადის“ კიდევ ორი წევრს—ხანინ ზუაბის და ჯამალ ზახალკას შეეზღუდათ პლენარულ, თუ საკომიტეტო სხდომებზე დასწრების უფლება სწორედ იმის გამო,რომ შეხვდნენ იმ პალესტინელი ტერორისტების ოჯახებს, რომლებიც ისრაელელებზე თავდასხმისას პოლიციამ, ან სამხედროებმა ადგილზევე გაანადგურეს. როგორც არაბმა დეპუტატებმა განაცხადეს, განადგურებულთა ოჯახებმა სთხოვეს მიცვალებულთა გვამების გადაცემის საკითხში დახმარება.



მეგობრები:

აჰარონ და სოლი გაგულაშვილები, შვილებით ლილახი, ილანა და შაი ოჯახებით.

კახი და ნანი არველაძეები, შვილებით სოფო, ეკა და გიორგი ოჯახებით.

სამძიმარს უცხადებენ ბ-ნ იციკ მოშესა და ქ-ნ ანიჩკას, მამის ძმრის

რუბენ მოშიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003